



ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკა

შპს ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკა

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება,
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და
ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

შპს ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკა

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანიის აღწერა.....	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	18
4. ძირითადი საშუალებები	20
5. საინვესტიციო ქონება	21
6. არამატერიალური აქტივები	22
7. ინვესტიცია სხვა საწარმოებში	22
8. მარაგები.....	23
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	23
10. საგადასახადო ვალდებულება	23
11. საბანკო დეპოზიტი	24
12. ფული და მათი ეკვივალენტები	24
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	24
14. მიღებული სესხები	25
15. ამონაგები.....	26
16. სხვა შემოსავალი	26
17. სხვა ხარჯები	26
18. სხვა არასაოპერაციო ხარჯი	26
19. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები.....	27
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	27
21. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	28
22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	28
მმართველობის ანგარიშგება	29

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკის ხელმძღვანელობასა და მესაკუთრეს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკის (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის, არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან და კომპანიისგან ბუღალტრულ ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონის“) მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწარმოო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვედნილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებულ ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების გარდა, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას;
- მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მსს ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ

აუდიტის პროცედურებს და ვერბთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიის მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით): ა) შიდა განხილვის მიზნებისთვის, ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად. 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებით, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება აუდიტორის დასკვნასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით პაპიაშვილი, რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-326452

შპს კრესტონ ჯორჯიას სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო

2 ოქტომბერი, 2025 წელი


დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე
პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით პაპიაშვილი, რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-326452

შპს კრესტონ ჯორჯიას სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო

2 ოქტომბერი, 2025 წელი



შპს ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	11,087,804	11,858,926
საინვესტიციო ქონება	5	4,865,675	5,464,148
არამატერიალური აქტივები	6	10,695	15,495
ინვესტიცია სხვა საწარმოში	7	1,021,190	698,600
სულ გრძელვადიანი აქტივები		16,985,364	18,037,169
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	8	156,741	120,200
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1,734,745	1,764,215
საბანკო დეპოზიტი	11	2,800,000	2,800,000
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	195,562	365,752
სულ მიმდინარე აქტივები		4,887,048	5,050,167
სულ აქტივები		21,872,412	23,087,336
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,357,420	1,357,420
გაუნაწილებელი მოგება		13,663,214	12,618,824
სულ კაპიტალი		15,020,634	13,976,244
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	4,835,574	5,173,460
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,835,574	5,173,460
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	1,599,943	3,348,047
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	366,990	537,633
საგადასახადო ვალდებულება	10	49,271	51,952
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,016,204	3,937,632
სულ ვალდებულებები		6,851,778	9,111,092
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		21,872,412	23,087,336

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 7-28 გვერდების ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 2 ოქტომბერს.

დირექტორი - ხათუნა ვარშანიძე

მთ. ბუღალტერი - მარიკა ბაუჟაძე

შპს ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	11,087,804	11,858,926
საინვესტიციო ქონება	5	4,865,675	5,464,148
არამატერიალური აქტივები	6	10,695	15,495
ინვესტიცია სხვა საწარმოში	7	1,021,190	698,600
სულ გრძელვადიანი აქტივები		16,985,364	18,037,169
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	8	156,741	120,200
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1,734,745	1,764,215
საბანკო დეპოზიტი	11	2,800,000	2,800,000
ფული და ფულის ეკვივალენტები	12	195,562	365,752
სულ მიმდინარე აქტივები		4,887,048	5,050,167
სულ აქტივები		21,872,412	23,087,336
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,357,420	1,357,420
გაუნაწილებელი მოგება		13,663,214	12,618,824
სულ კაპიტალი		15,020,634	13,976,244
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	4,835,574	5,173,460
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,835,574	5,173,460
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	14	1,599,943	3,348,047
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	366,990	537,633
საგადასახადო ვალდებულება	10	49,271	51,952
სულ მიმდინარე ვალდებულებები		2,016,204	3,937,632
სულ ვალდებულებები		6,851,778	9,111,092
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		21,872,412	23,087,336

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 7-28 გვერდების ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით
დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 2 ოქტომბერს.

დირექტორი - ხათუნა ვარშანიძე

მთ. ბუღალტერი - მარიკა ბაუჭაძე

შპს ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკა

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	15	5,668,433	5,325,403
სხვა შემოსავალი	16	602,348	553,119
სახელმწიფო პროგრამებით უსასყიდლოდ მიღებული მასალები		53,446	88,435
სულ შემოსავალი		6,324,227	5,966,957
მარაგების ხარჯი		(777,161)	(740,415)
პერსონალის ხარჯი		(1,614,487)	(1,709,493)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	4, 5, 6	(1,794,868)	(1,818,843)
სხვა ხარჯები	17	(1,100,773)	(1,044,583)
საოპერაციო მოგება		1,036,938	653,623
ფინანსური ხარჯი		(797,618)	(1,125,577)
აწარმოეს ფარგლებში თანადაფინანსებით მიღებული საპროცენტო შემოსავალი		424,828	1,344,444
ფინანსური შემოსავალი		374,531	396,208
წმინდა სავალუტო მოგება/(ზარალი)		(10,587)	4,529
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	18	(70,269)	(24,915)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		86,567	53,929
მოგება დაბეგვრამდე		1,044,390	1,302,241
წლის მოგება		1,044,390	1,302,241
სულ მთლიანი სრული შემოსავალი		1,044,390	1,302,241

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 7-28 გვერდების ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 2 ოქტომბერს.

დირექტორი - ხათუნა ვარშანიძე

მთ. ბუღალტერი - მარიკა ბაუჟაძე

შპს ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკა

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	15	5,668,433	5,325,403
სხვა შემოსავალი	16	602,348	553,119
სახელმწიფო პროგრამებით უსასყიდლოდ მიღებული მასალები		53,446	88,435
სულ შემოსავალი		6,324,227	5,966,957
მარაგების ხარჯი		(777,161)	(740,415)
პერსონალის ხარჯი		(1,614,487)	(1,709,493)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	4, 5, 6	(1,794,868)	(1,818,843)
სხვა ხარჯები	17	(1,100,773)	(1,044,583)
საოპერაციო მოგება		1,036,938	653,623
ფინანსური ხარჯი		(797,618)	(1,125,577)
აწარმოეს ფარგლებში თანადაფინანსებით მიღებული საპროცენტო შემოსავალი		424,828	1,344,444
ფინანსური შემოსავალი		374,531	396,208
წმინდა სავალუტო მოგება/(ზარალი)		(10,587)	4,529
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	18	(70,269)	(24,915)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		86,567	53,929
მოგება დაბეგვრამდე		1,044,390	1,302,241
წლის მოგება		1,044,390	1,302,241
სულ მთლიანი სრული შემოსავალი		1,044,390	1,302,241

თანდართული ფინანსური ანგარიშგება 7-28 გვერდების ჩათვლით ხელმძღვანელობის სახელით დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 2 ოქტომბერს.

დირექტორი - ხათუნა ვარშანიძე

მთ. ბუღალტერი - მარიკა ბაუჟაძე

შპს ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკა

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2023	1,357,420	11,316,583	12,674,003
წლის მოგება	-	1,302,241	1,302,241
მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,302,241	1,302,241
31 დეკემბერი 2023	1,357,420	12,618,824	13,976,244
წლის მოგება	-	1,044,390	1,044,390
მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,044,390	1,044,390
31 დეკემბერი 2024	1,357,420	13,663,214	15,020,634

შპს ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკა

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		1,044,390	1,302,241
კორექტირებები წმინდა ფულად ნაკადებთან რეკონსილიაციისთვის:			
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	4	31,055	20,174
ცვეთა და ამორტიზაცია	4,5,6	1,794,868	1,800,419
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღ. (მოგება)/ზარალი	4	4,491	(1,093)
ფინანსური ხარჯი	14	797,618	1,125,577
ფინანსური შემოსავალი		(374,531)	(396,208)
მოთხოვნების გაუფასურება	9	(51,464)	61,188
საკურსო სხვაობებით გამოწვეული (მოგება)/ზარალი		10,587	(4,529)
ფულადი სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		3,257,014	3,907,769
ცვლილებები მარაგებში	8	(36,539)	36,569
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	9	80,939	1,953,678
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	13	(178,751)	197,625
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში		(2,679)	49,189
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან პროცენტამდე და დაბეგვრამდე		3,119,984	6,144,830
გადახდილი პროცენტი	14	(870,850)	(1,344,444)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		2,249,134	4,800,386
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
ფულის ვადიან ანაზარზე განთავსება	11	-	(2,800,000)
სესხის ძირის გადახდა	14	(2,012,756)	(1,672,183)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(2,012,756)	(4,472,183)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	4	(471,023)	(174,530)
მიღებული პროცენტი		374,531	396,208
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	4	15,000	14,695
ინვესტიცია სხვა საწარმოში	7	(322,590)	(561,300)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(404,082)	(324,927)
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა	12	(167,704)	3,276
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულზე		(2,486)	4,531
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	12	365,752	357,945
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		195,562	365,752

1. კომპანიის აღწერა

შპს ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკა 2000 წელს დაფუძნებული “თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრის” ბაზაზე განვითარებული კლინიკაა, რომლის შედეგადაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისგან ბატონი ზურაბ ვაშაყაძის მიერ (46001002657) მოხდა 2015 წელს, პირობებიანი აუქციონის ფორმით.

საწარმოს საიდენტიფიკაციო ნომერია 245412012. მისი იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, ტბეთის ქ., N4.

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების პერიოდში და მისი გამოცემის მომენტისთვის შპს ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკის 90% წილის მფლობელია მუხამედ ართმელაძე (პ/ნ 61001070481), ხოლო 10% წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი, (ს/კ 445466870).

კომპანიის დირექტორი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია ხათუნა ვარშანიძე, (პ/ნ 61002005977).

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროებია:

ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკის პაციენტებს აქვთ შესაძლებლობა ერთ სივრცეში მიიღონ სრული სამედიცინო მომსახურება, მათ შორის: პოზიტრონ ემისიური კომპიუტერული ტომოგრაფია (PET-CT), კომპიუტერული ტომოგრაფია, ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა, რენტგენი, სხივური თერაპია, გენეტიკური კვლევები, მოლეკულური დიაგნოსტიკის ლაბორატორიული მომსახურება, კლინიკური კვლევების ლაბორატორიული მომსახურება, საოჯახო მედიცინის დეპარტამენტში მიმართულების მიხედვით კონსულტაცია/მკურნალობა.

შპს ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკამ 2022 წლის ივლისში შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი, 445466870-თან ერთად დააფუძნა ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი, 445655700.

მეკავშირე საწარმო, შპს მედდა, 445546491, 2018 წელს 30%-იანი მონაწილეობით დაფუძნდა მანანა ტუნაძესთან, 61001056253, ერთად. შპს მედდაც ამჟამად არ ახორციელებს საქმიანობას.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი), ნეტო“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

თარიღი	USD	EUR
31-დეკ-2024	2.8068	2.9306
31-დეკ-2023	2.6894	2.9753

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში ფინანსური ანგარიშგება) მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისად წარდგენილი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით.

აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალ ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალ ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირება

აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარე და გრძელვადიანი კლასიფიკაციის მიხედვით.

აქტივი კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი რეალიზაცია ან მისი გაყიდვა ან მოხმარება კომპანიის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; კომპანია მას ფლობს ძირითადად გაყიდვის მიზნით; მოსალოდნელია მისი რეალიზაცია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში; ან აქტივი არის ნაღდი ფული ან ფულადი ექვივალენტი, თუ არ არის შეზღუდული მისი გაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი.

ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი დაფარვა კომპანიის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; იგი იმართება ძირითადად ვაჭრობის მიზნით; ის გადახდილი უნდა იყოს საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში; ან არ არსებობს უპირობო უფლება, ვალდებულების დაფარვის გადავადების საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან არანაკლებ 12 თვით. ყველა სხვა ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი.

გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება ყოველთვის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი

ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალებების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების შეფასებული მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	20 წელი
სამედიცინო აპარატურა და დანადგარები	8 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
ავეჯი და ინვენტარი	5 წელი

სატრანსპორტო საშუალებები
ბიოლოგიური აქტივები

5 წელი
6-7 წელი

მიწის ნაკვეთებს ცვეთა არ ერიცხება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

საინვესტიციო ქონება

კომპანია საინვესტიციო ქონებას აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად, თვითღირებულებით, რომელიც მცირდება ცვეთითა და გაუფასურების ზარალით. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. მიწის და შენობის ჯგუფის ცვეთად წილს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, მომსახურების ვადა - 20 წელი.

საინვესტიციო ქონება არ აღირიცხება რეალური ღირებულების ცვლილებით, რადგან კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ ასეთ აღრიცხვასთან დაკავშირებული დანახარჯი მიზანშეუწონელი იყო სააღრიცხვო პერიოდისთვის და პირველი წარდგენისთვის. მომავალ სააღრიცხვო პერიოდისთვის შესაძლებელია საინვესტიციო ქონების აღრიცხვა რეალური ღირებულების ცვლილებით განხორციელდეს.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება სააღრიცხვო პროგრამისგან (ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით).

ინვესტიცია სხვა საწარმოში

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა და, ამავე დროს, იგი არ არის არც შვილობილი საწარმო და არც წილი ერთობლივ საქმიანობაში. მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებამოსილებას, რაც არ გულისხმობს ინვესტორის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

მეკავშირე საწარმოში განხორციელებულ ინვესტიციას საწარმო აღრიცხავს თვითღირებულების მოდელით: იგი თავის ინვესტიციებს მეკავშირე საწარმოებში აფასებს თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ეს დებულება არ ეხება ისეთ ინვესტიციებს, რომელთა კოტირებული ფასი ქვეყნდება. ინვესტორი ინვესტიციიდან მიღებულ დივიდენდებს და სხვა სახის განაწილებებს აღიარებს, როგორც შემოსავალს.

ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო არის ისეთი ერთობლივი საქმიანობა, რომელიც გულისხმობს ისეთი საწარმოს დაფუძნებას, რომელშიც თითოეულ სრულუფლებიან მონაწილეს თავისი წილი გააჩნია. აღნიშნული საწარმო ფუნქციონირებს სხვა საწარმოთა ანალოგიურად, იმ

განსხვავებით, რომ სრულუფლებიან მონაწილეებს შორის დადებული სახელშეკრულებო შეთანხმება აწესებს ერთობლივ კონტროლს ამ საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობაზე.

საწარმო, როგორც სრულუფლებიანი მონაწილე, ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში განხორციელებული ყველა ინვესტიციას აღრიცხავს თვითღირებულების მოდელით: თვითღირებულებიდან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. სრულუფლებიანი მონაწილე ამ ინვესტიციიდან მიღებულ განაწილებებს აღიარებს შემოსავლად,

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს საქმიანობასთან დაკავშირებულ ნედლეულსა და მასალებს და დაუმთავრებელ წარმოებას. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიას მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი

ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების არასაოპერაციო ნაწილში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი

ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

წინასწარგადახდილი ხარჯები

წინასწარგადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდგება „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების“ ან „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განთავსებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიას ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიას ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიას ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

გ) ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია იმყოფება საკრედიტო რისკის ქვეშ ფინანსური აქტივების გავლენით, ფულის, საბანკო ანგარიშებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით. საკრედიტო რისკი ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში იმართება საბანკო დაწესებულებების დივერსიფიკაციის გზით, მხოლოდ მნიშვნელოვანი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინტიტუტებში. სავაჭრო მოთხოვნები შეფასებული იქნა ინდივიდუალურად, განვლილი დღეების და სავაჭრო პარტნიორებზე კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციის შესაბამისად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო ისტორიაზე ბოლო 12 თვის მანძილზე, ასევე შესაბამისი განცდილი საკრედიტო ზარალზე

მოცემულ პერიოდში.

დ) მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე საიმედო მტკიცებულებების გათვალისწინებით. ამ მარაგების მომავალ რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, ან ბაზრის სხვა ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი სარეალიზაციო ფასები.

ე) დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

კომპანია შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს, არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

ვ) საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შპს ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკა
 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 ქართულ ლარში

4. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2024, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2023 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგა რები	სარტანსპო რტო საშუ- ალებები	ოფისის აღჭურვი ლობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ბიოლოგი ური აქტივები	სულ
ნაშთი 01.01.2023-ის მდგომარეობით	737,000	4,763,580	7,986,182	408,812	250,014	382,874	30,904	14,559,366
დამატება	-	-	142,304	1,444	17,264	13,518	-	174,530
აქტივების ჩამოწერა/გასვლა	-	-	(15,000)	(13,000)	(3,376)	(2,400)	-	(33,776)
ნაშთი 31.12.2023-ის მდგომარეობით	737,000	4,763,580	8,113,486	397,256	263,902	393,992	30,904	14,700,120
დამატება	-	-	296,355	110,150	2,793	28,670	-	437,968
აქტივების ჩამოწერა/გასვლა	-	-	(50,546)	-	-	-	-	(50,546)
ნაშთი 31.12.2024-ის მდგომარეობით	737,000	4,763,580	8,359,295	507,406	266,695	422,662	30,904	15,087,542
აკუმულირებული ცვეთა								
ნაშთი 01.01.2023-ის მდგომარეობით	-	83,757	1,059,498	90,812	99,394	41,502	-	1,374,963
წლის ცვეთა	-	184,974	1,101,228	80,605	42,771	75,077	-	1,484,655
გასული აქტივების დაგრ. ცვეთა	-	-	(12,157)	(5,932)	(335)	-	-	(18,424)
ნაშთი 31.12.2023-ის მდგომარეობით	-	268,731	2,148,569	165,485	141,830	116,579	-	2,841,194
წლის ცვეთა	-	531,592	1,035,818	85,219	53,369	79,379	4,691	1,790,068
საინვესტიციოზე გადატანა	-	(598,473)	-	-	-	-	-	(598,473)
გასული აქტივების დაგრ. ცვეთა	-	-	(33,051)	-	-	-	-	(33,051)
ნაშთი 31.12.2024-ის მდგომარეობით	-	201,850	3,151,336	250,704	195,199	195,958	4,691	3,999,738
წმინდა საბალანსო ღირებულება								
ნაშთი 31.12.2023-ის მდგომარეობით	737,000	4,494,849	5,964,917	231,771	122,072	277,413	30,904	11,858,926
ნაშთი 31.12.2024-ის მდგომარეობით	737,000	4,561,730	5,207,959	256,702	71,496	226,704	26,213	11,087,804

2021 წლის 14 მაისიდან კომპანიის საკუთრებაში მყოფი მიწა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები სესხის უზრუნველყოფის მიზნით კომერციული ბანკის მიერ დატვირთულია იპოთეკით. 31.12.2024-ის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების მუხლში მათი ნეტო საბალანსო ღირებულებაა 5,087,542 (2023: 5,231,849 ლარი).

ცვეთის ხარჯი ასახულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯის მუხლში.

შპს ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკა
 2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 ქართულ ლარში

5. საინვესტიციო ქონება

კომპანიის საინვესტიციო ქონება 2024, 2023 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	ძველი შენობა	ახალი შენობა	სულ
ნაშთი 01.01.2023-ის მდგომარეობით	290,450	5,577,811	5,868,261
ძირითადი საშუალებიდან გადმოტანა	-	-	-
ნაშთი 31.12.2023-ის მდგომარეობით	290,450	5,577,811	5,868,261
ძირითადი საშუალებიდან გადმოტანა	-	-	-
ნაშთი 31.12.2024-ის მდგომარეობით	290,450	5,577,811	5,868,261
აკუმულირებული ცვეთა			
ნაშთი 01.01.2023-ის მდგომარეობით	29,046	45,713	74,759
პერიოდის ცვეთა	14,522	314,832	329,354
ძირითადი საშუალებიდან გადმოტანა	-	-	-
ნაშთი 31.12.2023-ის მდგომარეობით	43,568	360,545	404,113
პერიოდის ცვეთა	14,522	583,951	598,473
ძირითადი საშუალებიდან გადმოტანა	-	-	-
ნაშთი 31.12.2024-ის მდგომარეობით	58,090	944,496	1,002,586
წმინდა საბალანსო ღირებულება			
ნაშთი 31.12.2023-ის მდგომარეობით	246,882	5,217,266	5,464,148
ნაშთი 31.12.2024-ის მდგომარეობით	232,360	4,633,315	4,865,675

2021 წლის 14 მაისიდან კომპანიის საკუთრებაში მყოფი მიწა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები სესხის უზრუნველყოფის მიზნით კომერციული ბანკის მიერ დატვირთულია იპოთეკით. 31.12.2024-ის მდგომარეობით საინვესტიციო ქონების მუხლში მათი ნეტო საბალანსო ღირებულებაა 4,865,675 ლარი. (2023: 5,464,148 ლარი).

ცვეთის ხარჯი ასახულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯის მუხლში.

6. არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	ISO სერტიფიცირება	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ნაშთი 01.01.2023-ის მდგომარეობით	30,972	1,255	32,227
დამატება	-	-	-
ნაშთი 31.12.2023-ის მდგომარეობით	30,972	1,255	32,227
დამატება	-	-	-
ნაშთი 31.12.2024-ის მდგომარეობით	30,972	1,255	32,227
აკუმულირებული ცვეთა			
ნაშთი 01.01.2023-ის მდგომარეობით	10,985	913	11,898
პერიოდის ამორტიზაცია	4,646	188	4,834
ნაშთი 31.12.2023-ის მდგომარეობით	15,631	1,101	16,732
პერიოდის ამორტიზაცია	4,646	154	4,800
ნაშთი 31.12.2024-ის მდგომარეობით	20,277	1,255	21,532
წმინდა საბალანსო ღირებულება			
ნაშთი 31.12.2023-ის მდგომარეობით	15,341	154	15,495
ნაშთი 31.12.2024-ის მდგომარეობით	10,695	-	10,695

ცვეთის ხარჯი ასახულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯის მუხლში.

7. ინვესტიცია სხვა საწარმოებში

შპს ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკამ 2022 წლის ივლისში შპს მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალი მედცენტრი, 445466870-თან ერთად დააფუძნა ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი, 445655700.

მეკავშირე საწარმო, შპს მედდა, 445546491, 2018 წელს 30%-იანი მონაწილეობით დაფუძნდა მანანა ტუნაძესთან, 61001056253, ერთად. შპს მედდა ამჟამად არ ახორციელებს საქმიანობას,

	ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	ინვესტიცია ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში	სულ
ნაშთი 01.01.2023-ის მდგომარეობით	300	137,000	137,300
დამატება	-	561,300	561,300
ნაშთი 31.12.2023-ის მდგომარეობით	300	698,300	698,600
დამატება	-	322,590	322,590
ნაშთი 31.12.2024-ის მდგომარეობით	300	1,020,890	1,021,190

8. მარაგები

კომპანიის მარაგები შედგება:

	31.12.2024	31.12.2023
აცრებისთვის საჭირო უსასყიდლოდ მიღებული მასალები	7,612	6,878
COVID-19 სამართავად საჭირო უსასყიდლოდ მიღებული მასალები	-	1,585
სხივური თერაპიის მასალები	13,525	2,865
მედიკამენტები	133,778	107,820
საწვავის ნაშთი	813	1,052
ინვენტარი	1,013	-
სულ მარაგები:	156,741	120,200

მარაგების თვითღირებულება, რომელიც აღიარდა ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში 2024 წლის პერიოდის მანძილზე შეადგენს 777,161 ლარს (2023: 740,415 ლარი).

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შედგება:

	31.12.2024	31.12.2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,712,386	1,753,380
საექვო მოთხოვნების ანარიცხი	(9,724)	(61,188)
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	32,083	72,023
სულ მოთხოვნები:	1,734,745	1,764,215

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავს მოთხოვნას დაკავშირებული მხარის მიმართ 2024 წელს 7,507 ლარის ოდენობით, (2023 წელი: 26,228 ლარი).

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება:

31.12.2022	-
დამატება	61,188
31.12.2023	61,188
შემცირება	(51,464)
31.12.2024	9,724

10. საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულება წარმოადგენს ყველა გადასახადის წმინდა შედეგს წლის ბოლოსთვის. 2024 წლის საგადასახადო ვალდებულება ძირითადად მოიცავს საშემოსავლო და ქონების გადასახადებს (2024: 49,271 ლარი; 2023: 51,952 ლარი)

11. საბანკო დეპოზიტი

საბანკო დეპოზიტი წარმოადგენს კომერციულ ბანკებში ვადიან ანაბრებზე განთავსებულ თანხებს.

		31.12.2024				31.12.2023		
საბანკო დეპოზიტი	ხელშეკ- რულება	საპრ ოცენ ტო განაკ- ვეთი	ვალუ ტა	ანაბრის დახურ- ვის თარიღი	თანხა ანაბრის მიხედ- ვით	დარიც- ხული სარგებე ლი წლის განმავ- ლობაში	თანხა ანაბრის მიხედ- ვით	დარიც- ხული სარგებე ლი წლის განმავ- ლობაში
ბაზის ბანკი	7136112	13%	ლარი	25/10/2023	-	-	-	22,501
ბაზის ბანკი	7136113	13%	ლარი	23/01/2023	-	-	-	4,817
ბაზის ბანკი	7636220	15%	ლარი	01/11/2025	700,000	91,249	700,000	83,172
ბაზის ბანკი	8036240	13%	ლარი	31/12/2024	2,100,000	246,995	2,100,000	205,685
თიბისი ბანკი	003240706- 002228307	11%	ლარი	7/3/2023	-	-	-	59,657
სულ საბანკო დეპოზიტი:					2,800,000	338,244	2,800,000	375,832

12. ფული და მათი ეკვივალენტები

კომპანიის ფული და მათი ეკვივალენტები შეადგენს:

	31.12.2024	31.12.2023
ნაღდი ფული სალაროში, ლარში	149	508
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	194,930	364,406
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	483	838
სულ ფული:	195,562	365,752

კომპანიის ფულადი სახსრები არ წარმოადგენს რაიმე სახის ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებას.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის ვალდებულებები შედგება:

	31.12.2024	31.12.2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	280,165	386,900
გადასახდელი ხელფასები	86,825	150,733
სულ ვალდებულებები:	366,990	537,633

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოიცავს მოთხოვნას დაკავშირებული მხარის მიმართ 2024 წელს (15,733) ლარის ოდენობით, (2023 წელი: (4,747) ლარი).

14. მიღებული სესხები

კომპანიის მიღებული სესხები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია:

		31.12.2024		31.12.2023	
გამსესხებელი	სესხის დასრულ. თარიღი	მოკლე- ვადიანი ნაწილი	გრძელ- ვადიანი ნაწილი	მოკლე- ვადიანი ნაწილი	გრძელ- ვადიანი ნაწილი
ვითიბი ბანკი	15.05.2028	1,637,487	4,835,574	3,154,358	5,173,460
ფ.პ. დავით ბახტაძე (პ.ნ.: 61001034585)	31.12.2023	-	-	153,000	-
ზურაბ ვაშაყმაძე (პ.ნ.:46001002657)	10.06.2020	-	-	5,000	-
სულ		1,637,487	4,835,574	3,312,358	5,173,460

საბანკო სესხის დაფარვის ვადა არის 2028 წელი, ხოლო ამ სესხთან დაკავშირებული საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 12%-ს (2023: 12%)

ფიზიკური პირის მიერ სესხის დაფარვის ვადა არის 2023 წელი, ხოლო ამ სესხთან დაკავშირებული საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 17,9%-ს (2023: 17.9%)

დაკავშირებული მხარეებისგან მიღებული სესხი დაფარვის ვადა არის 2020 წელი. ხოლო ამ სესხთან დაკავშირებული საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 12%-ს (2023: 12%)

	დამფუძ ნებელი	ფიზიკური პირი	კომერციული ბანკი	სულ
01.01.2023	5,000	198,845	10,208,711	10,412,556
ძირის გადახდა	-	-	(1,672,183)	(1,672,183)
პროცენტის დარიცხვა	-	27,387	1,098,191	1,125,578
პროცენტის დაფარვა	-	-	(1,344,444)	(1,344,444)
31.12.2023	5,000	226,232	8,290,275	8,521,507
ძირის გადახდა	(5,000)	(153,000)	(1,854,756)	(2,012,756)
პროცენტის დარიცხვა	-	13,310	784,307	797,617
პროცენტის დაფარვა	-	(86,542)	(784,309)	(870,851)
31.12.2024	-	-	6,435,517	6,435,517

15. ამონაგები

კომპანიის ამონაგები შედგება სხვადასხვა სამედიცინო მომსახურებით, ლაბორატორიული და აპარატურული კვლევებით მიღებული შემოსავლისგან (2024: 5,668,433 ლარი; 2023: 5,325,403 ლარი).

16. სხვა შემოსავალი

	2024	2023
საიჯარო შემოსავალი	602,348	544,608
ინფორმაციის მიწოდებით მიღებული შემოსავალი	-	1,246
სხვა შემოსავალი	-	7,265
სულ სხვა შემოსავალი:	602,348	553,119

17. სხვა ხარჯები

	2024	2023
ამბულატორიული მომსახურება	(302,251)	(258,346)
ლაბორატორიის კალიბრაციის ხარჯი	(215,670)	(13,789)
კომუნალური ხარჯი	(209,404)	(217,697)
სხვა საერთო ხარჯები	(165,650)	(91,197)
სხვა საგადასახადო ხარჯები	(66,305)	(56,428)
საკონსულტაციო ხარჯები	(61,842)	(65,168)
რემონტის ხარჯი	(25,185)	(87,805)
ავტო მანქანის ხარჯი	(23,918)	(15,692)
საკანცელარიო ხარჯი	(16,437)	(25,656)
სამეურნეო ხარჯი	(12,430)	(5,658)
ინტერნეტის ხარჯი	(11,355)	(11,503)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(10,650)	(59,205)
საწვავის ხარჯები	(8,518)	(11,069)
საბანკო ხარჯები	(7,819)	(10,333)
რეკლამის ხარჯები	(5,879)	(26,650)
დაცვისა და უსაფრთხოების ხარჯი	(3,800)	(435)
პროგრამული მომსახურების ხარჯი	(3,000)	(4,666)
კომპიუტერის ხარჯები	(1,124)	(2,170)
იჯარის ხარჯი	(1,000)	(6,780)
მოთხოვნის გაუფასურების (ხარჯი)/აღდგენა	51,464	(61,188)
ნელა მოძრავი მარაგის რეზერვის ხარჯი	-	(13,148)
სულ სხვა ხარჯები:	(1,100,773)	(1,044,583)

18. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

სხვა არასაოპერაციო ხარჯი შედგება:

	2024	2023
ჯარიმები და საურავები	(2,833)	(24,915)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(67,436)	-
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯი:	(70,269)	(24,915)

19. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია მის წინააღმდეგ სასამართლო დავები და არც ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის არსებობს ასეთი. შესაბამისად არ არის მოლოდინი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნის და სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ არის წარდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში

საგადასახადო კანონმდებლობა - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიას ოპერაციები შესაძლოა გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიის მენეჯმენტმა საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით ანარიცხი წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
 - ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
 - გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პირების ოჯახის წევრი;
 - დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ და არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები. დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე.
- სხვა დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს ისეთი საწარმოები რომლებიც კონტროლდება ან რომლებზეც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ანგარიშვალდებულ საწარმოზე კონტროლის მქონე პირებს.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2024 და 2023 წლების ბოლოს წარმოდგენილია ქვემოთ:

		31.12.2024	31.12.2023
10% წილის მფლობელი საწარმო			
ვალდებულება მოწოდებიდან და მომსახურებიდან	(13)	(15,733)	(4,447)
მოთხოვნა მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(9)	7,120	17,750
საწარმო საერთო კონტროლის ქვეშ			
ვალდებულება მოწოდებიდან და მომსახურებიდან		(260)	(2,600)
მოთხოვნა მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(9)	387	8,478
მაკონტროლებელი პირი			
ვალდებულება მოწოდებიდან და მომსახურებიდან	(13)	-	(300)
სასესხო და საპროცენტო დავალიანება	(14)	-	(5,000)
ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო			
ინვესტიცია	(7)	1,021,190	698,600

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან მოცემულია ქვემოთ:

		2024	2023
10% წილის მფლობელი საწარმო			
მომსახურების მიღება		(73,245)	(56,265)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(4)	-	(847)
მომსახურების მიწოდება	(15)	31,110	232,990
მომსახურების მიღება		(2,530)	(3,110)
მომსახურების მიწოდება	(15)	365,205	37,678
ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო			
ინვესტიციის ზრდა	(7)	322,590	561,300

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება 2024-2023 წლებში მოცემული ქვემოთ:

	2024 წელი		2023 წელი	
	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება	ხარჯი	დარიცხული ვალდებულება
ხელფასები და პრემია	(326,918)	-	(186,033)	(5,000)

21. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

აღებული და დაფარული სასესხო ვალდებულებები

ანგარიშგების თარიღიდან მისი გამოცემის თარიღამდე კომპანიამ არსებული სესხის ძირი დაფარა 939,088 ლარის ოდენობით. ახალი სასესხო ვალდებულებების დამატება არ მომხდარა.

ანგარიშგების თარიღიდან მისი გამოცემის თარიღამდე კომპანიამ გასცა სესხის ძირი მფლობელზე 490,500 ლარის ოდენობით. ამავე სესხის დაფარვა მოხდა 390,500 ლარის ოდენობით.

მნიშვნელოვანი კაპიტალ-დაბანდებები

ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მისი გამოცემის თარიღამდე კომპანიამ შპს მაღალტექნოლო-
 გიური ჰოსპიტალი მედცენტრთან ერთად ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში - შპს
 ავიცენა-ბათუმის სამედიცინო ცენტრი განახორციელა კაპიტალის შეტანა 352,500 ლარის ოდენობით.

22. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება
 დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 2 ოქტომბერს.



ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკა

მმართველობის ანგარიშგება

სარჩევი:

- სუბიექტის განვითარების გეგმები
- ორგანიზაციული სტრუქტურა
- ინფორმაცია თანამშრომლების შესახებ
- ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ
- კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები
- ძირითადი ხარისხობრივი და არაფინანსური მაჩვენებლები
- ინფორმაცია წილის და აქციების შეძენის შესახებ
- წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები
- ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

სუბიექტის განვითარების გეგმები

შექმნის ისტორია - შპს „ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკა“ ბაზარზე ოპერირებს 2000 წლიდან შპს „თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრის“ სახელით. კლინიკა ახორციელებდა ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ მომსახურებას. თანდათან მიმდინარეობდა მუშაობა სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებში ჩართვაზე, სადაც კლინიკა გამოირჩეოდა მაღალი აქტიურობით.

განხორციელებული ინვესტიციები - შპს „ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკის“ ხელმძღვანელობის მიზანი იყო მუდმივი განვითარებისთვის სწრაფვა და მოსახლეობისთვის მზრუნველი, კონკურენტუნარიანი და მყუდრო გარემოს შექმნა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა პაციენტებისთვის მიგვეწოდებინა სერვისი - დაავადების პრევენციიდან სრულ რეაბილიტაციამდე. მიზნად დავისახეთ სერვისების გაფართოება და ერთ სივრცეში მოქცევა.

მიმართულებები - 2000 წლიდან კლინიკა ახორციელებდა ამბულატორიულ- პოლიკლინიკური სერვისების მიწოდებას. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებისთანავე კლინიკა აქტიურად ჩაერთო და დღესაც აგრძელებს აღნიშნული მომსახურებით პაციენტებზე სერვისის მიწოდებას.

2020 წლიდან საქართველოში კოვიდ-19-ის პანდემიის დაწყების დღიდან კლინიკაში შეიქმნა ქალაქში უმძლავრესი მოლექულური დიაგნოსტიკის ლაბორატორია, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმ დროისთვის ქვეყანაში არსებული ეპიდ-სიტუაციების მართვისთვის და პაციენტების მკურნალობისთვის.

მიუხედავად პანდემიური მდგომარეობისა კლინიკამ „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის მხარდაჭერით განახორციელა უდიდესი ინვესტიცია ახალი კორპუსის მშენებლობის და ონკოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკის და მკურნალობის მნიშვნელოვანი მიმართულებების განვითარების სახით. აღნიშნული მიმართულებებია რადიაციული მკურნალობა და დასავლეთ საქართველოში პირველი პოზიტრონ ემისიური ტომოგრაფია.

ეპიდ-სიტუაციის სტაბილიზაციის შემდეგ შპს „ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკის“ მოლექულური დიაგნოსტიკის ლაბორატორიაში დაინერგა კიბოს მოლექულური დიაგნოსტიკის კვლევები, რომელიც მოწოდებულია კიბოს მკურნალობის საერთაშორისო გაიდლაინებით და ექიმს საშუალებას აძლევს კიბოს თარგეთ თერაპიაში, რაც თავის მხრივ ამცირებს ლეტალურ გამოსავალს. ასევე ჩვენს ლაბორატორიასი ტარდება სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების მოლექულური დიაგნოსტიკა.


შპს „ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკის“ დიდ განხორციელებულ პროექტად ითვლება ავიცენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის დაფუძნება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონის სამედიცინო პერსონალის მუდმივ განვითარებაში და სტუდენტებისთვის ხარისხიანი განათლების მიღებაში.

ორგანიზაციული სტრუქტურა

შპს „ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკის“ ხელმძღვანელია დირექტორი - ხათუნა ვარშანიძე, 61002005977.

შპს „ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკა“ მოიცავს შემდეგ დეპარტამენტებს:

შპს ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკა
2024 წლის მმართველობის ანგარიშგება
 ქართულ ღარში



აღნიშნული დეპარტამენტები და ადმინისტრაცია ექვემდებარება დირექტორს.
 კლინიკაში დასაქმებულია სულ 86 ადამიანი:

ინფორმაცია თანამშრომლების შესახებ

თანამშრომლების საერთო რაოდენობა – 86 / (2023: 86)

მამაკაცი თანამშრომლები – 17 / (2023: 17)

ქალი თანამშრომელი – 69 / (2023: 69)

ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

ორგანიზაციას ფილიალები არ გააჩნია.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა
 კომპანიას კვლევა ძიების სამუშაოები არ აქვს საანგარიშგებო პერიოდში.

ძირითადი ხარისხობრივი და არაფინანსური მაჩვენებლები

სამედიცინო სფეროში თანამედროვე მიღწევების ცოდნისთვის, კლინიკის ექიმები მუდმივად არიან ჩართულნი ონლაინ კონფერენციებში. ხოლო კლინიკის საშუალო მედ-პერსონალი მუდმივად ახორციელებს ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გაღრმავებას სხვადასხვა ტრენინგების დახმარებით.

ინფორმაცია წილის და აქციების შეძენის შესახებ

საანგარიშო პერიოდის ბოლოს შპს ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკის 90% წილის

მფლობელი გახდა მუხამედ ართმელაძე.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წინა წელთან შედარებით, მიმდინარე საანგარიშო წელს კლინიკის ამონაგები მნიშვნელოვნად ცვლილებას არ განიცდის, რაც ნიშნავს, რომ კლინიკაში მიმდინარე სერვისები იტვირთება იმ რაოდენობით, რაც ემთხვევა წინა წლების სტატისტიკურ მონაცემს. ბაზრის კვლევით დადგენილი სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით იგეგმება აქტიური ღონისძიებები, რათა მოხდეს საჭიროებების სრული ათვისება. მიმდინარეობს ექიმებთან აქტიური კომუნიკაცია, საგანმანათლებლო და განმავითარებელი ღონისძიებები, პაციენტთა გამოკითხვა და მათი კმაყოფილების შეფასება.

უკუგების თვალსაზრისით, კაპიტალთან (ROE - წმინდა მოგება შეფარდებული კაპიტალთან) მიმართებაში შეადგენდა 7.7%-ს, 2023 წლის მონაცემი იგივე მაჩვენებელზე იყო -9.3%. უკუგება აქტივებზე (ROA - წმინდა მოგება შეფარდებული მთლიან აქტივებთან) 2024 წელს იყო - 5.3%, ხოლო 2023 წელს - 5.6%.

საანგარიშო პერიოდში კომპანიის ვალდებულების ფარდობა კაპიტალთან შეადგენს 0,45-ს. 2023 წელს იგივე მონაცემი იყო 0,65. მიმდინარე აქტივების ფარდობა, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებებთან შეადგენს 2,42-ს, 2023 წელს იგივე მონაცემი იყო 1.28.

დამატებითი ინფორმაცია ფინანსური მაჩვენებლების შესახებ იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიაში არსებული რისკების ტიპები:

- ბიზნეს რისკი - კონკურენტი ორგანიზაციების მიერ კვალიფიციური პერსონალის გადაბირება;
- რეპუტაციის რისკი;
- ფინანსური რისკი - საყოველთაო ჯანდაცვის მიერ თანხების დაგვიანებით ანაზღაურება, სახელმწიფოს მხრიდან კორექტირებები, ფიქსირებული ფასები;

აღნიშნულ რისკებს ანეიტრალებს ასევე კვალიფიციურ თანამშრომელთა მოძიება, აყვანა და შენარჩუნების პოლიტიკა. თანამშრომელთა გადამზადების პოლიტიკა. სამედიცინო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების გამოკვლევის და რეაგირების პოლიტიკა. პრევენციული ხასიათის ქმედებები მიმართული მაღალი სტანდარტის შენარჩუნებისკენ. საქმიანობის სფერო დიდ წილადაა დამოკიდებული სახელმწიფოს პოლიტიკაზე. სუბსიდირების ერთ სუბიექტთან თავმოყრა სხვადასხვა რისკების მატარებელია, მითუმეტეს თუ ეს სუბიექტი თავად არის ბიზნეს სფეროს პოლიტიკის განმსაზღვრელი და მარეგულირებელი

მმართველობის ანგარიში დამტკიცებულია 2025 წლის 2 ოქტომბერს ხელმძღვანელობის სახელით:

ხათუნა ვარშანიძე, დირექტორი

მფლობელი გახდა მუხამედ ართმელაძე.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წინა წელთან შედარებით, მიმდინარე საანგარიშო წელს კლინიკის ამონაგები მნიშვნელოვნად ცვლილებას არ განიცდის, რაც ნიშნავს, რომ კლინიკაში მიმდინარე სერვისები იტვირთება იმ რაოდენობით, რაც ემთხვევა წინა წლების სტატისტიკურ მონაცემს. ბაზრის კვლევით დადგენილი სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით იგეგმება აქტიური ღონისძიებები, რათა მოხდეს საჭიროებების სრული ათვისება. მიმდინარეობს ექიმებთან აქტიური კომუნიკაცია, საგანმანათლებლო და განმავითარებელი ღონისძიებები, პაციენტთა გამოკითხვა და მათი კმაყოფილების შეფასება. უკუშვების თვალსაზრისით, კაპიტალთან (ROE - წმინდა მოგება შეფარდებული კაპიტალთან) მიმართებაში შეადგენდა 7.7%-ს, 2023 წლის მონაცემი იგივე მაჩვენებელზე იყო -9.3%. უკუშვება აქტივებზე (ROA - წმინდა მოგება შეფარდებული მთლიან აქტივებთან) 2024 წელს იყო -5.3%, ხოლო 2023 წელს -5.6%. საანგარიშო პერიოდში კომპანიის ვალდებულების ფარდობა კაპიტალთან შეადგენს 0,45-ს. 2023 წელს იგივე მონაცემი იყო 0,65. მიმდინარე აქტივების ფარდობა, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებებთან შეადგენს 2,42-ს, 2023 წელს იგივე მონაცემი იყო 1.28. დამატებითი ინფორმაცია ფინანსური მაჩვენებლების შესახებ იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიაში არსებული რისკების ტიპები:

- ბიზნეს რისკი - კონკურენტი ორგანიზაციების მიერ კვალიფიციური პერსონალის გადაბირება;
 - რეპუტაციის რისკი;
 - ფინანსური რისკი - საყოველთაო ჯანდაცვის მიერ თანხების დაგვიანებით ანაზღაურება, სახელმწიფოს მხრიდან კორექტირებები, ფიქსირებული ფასები;
- აღნიშნულ რისკებს ანეიტრალებს ასევე კვალიფიციურ თანამშრომელთა მოძიება, აყვანა და შენარჩუნების პოლიტიკა. თანამშრომელთა გადამზადების პოლიტიკა. სამედიცინო პრაქტიკაში დაშვებული შეცდომების გამოკვლევის და რეაგირების პოლიტიკა. პრევენციული ხასიათის ქმედებები მიმართული მაღალი სტანდარტის შენარჩუნებისკენ. საქმიანობის სფერო დიდ წილადაა დამოკიდებული სახელმწიფოს პოლიტიკაზე. სუბსიდირების ერთ სუბიექტთან თავმოყრა სხვადასხვა რისკების მატარებელია, მითუმეტეს თუ ეს სუბიექტი თავად არის ბიზნეს სფეროს პოლიტიკის განმსაზღვრელი და მარეგულირებელი

მმართველობის ანგარიში დამტკიცებულია 2025 წლის 2 ოქტომბერს ხელმძღვანელობის სახელით:

ხათუნა ვარშანიძე, დირექტორი

